თეატრი

№ 29 საყოველ-კვირაო ლიტერატურული და მხატვრობითი გაზეთი. № 29

20 ივლისი — გამოიცემა ყოველ კვირაობით — 1886 წელსა.

ფასი «თეატრი»-სა წლით ხუთი (5) მანეთი, ნახევარ წლით სამი (3) მანეთი, სხვა ვადით ხელის მოწერა არ მიიღება. ცალკე ნომერი «თეატრი»-სა ღირს ხამი შაური. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში «თეატრი»-ს რედაქციაში არწრუნისეულ ქარვასლაში № 100. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію «Театръ.»

გაზეთი «თეატრი» პირველის იულისიდამ წლის დამლევამდე ღირს 3 მანეთი.

ლექსები პროზით

არ ვიცი რა ვსთქვა, რა ვიფიქრო! ბარემ ვიცი რა ან რაზედ ვიფიქრო და თქმასაც მოვახერხებდი, რომ არ ცხელოდეს. ეგ ზაფხულის პაპანება სიცხე მასუსტებს, ლონეს მილევს, მაუძლურებს. ფიქრი ჭკარგავს თვის სისწრაფეს, სიტყვა ძალას, განზრახვა გამბედაობას. ეჰ, დამე მაინც მალე დადგებოდეს!

ცხელა, ცხელა! არსად სიგრილე, არსად ნიავი! სული მეხუთება: მოვკვდი, —მეტი აღარ შემიძლიან! ნეტავ, ან მალე დალამდებოდეს, ან წვიმა მაინც წამოვიდოდეს. წვიმა კარგია:—იგი დაანამებდა ამ ანთებულ, ცეცხლ წაკიდებულ ქვეყანას, მეც გამიგრილებდა ადუღებულ ტვინს, მოძრაობას მისცემდა ჩემს შემდგარს სისხლს, მიუჩებულ ძარღვს ცემას დააწყებინებდა. გავცოცხლდებოდი! წვიმა ჩემთვის ისევ ის დედაა, როგორც მშობელი დედა ისიც ძუძუს აწოვებს ქვეყანას...

ვგონებ განგებამ შეიწყნარა ჩემი ვედრება: ღრუბლები გამოჩნდენ. აჰა, შავნი, უზარმაზარნი ნალვლით სავსე ღრუბლები მოდიან... ეხლა უფრო დაცხა. არა, არა! დაცხა კი არა სუნთქვა გაძნელდა, ჰაერი არ მყოფნის. უარესია! შავს ღრუბლებს შავი ფიქლებიც მოუვნენ—მოგონებანი აიშალნენ. ვინ მოსთვლის იმათ, ვინ მოინელებს?

ძლივს აწვიმდა, ცა სტირის, მეც ვსტირი,—ვსტირი და გული ისევ სიმწარით იმსება: რაც მდომნია და მომიწადინებია არ ამსრულებია. დრონი წარვიდნენ, ყოველისფერი მომშორდა და მე ისევ ხინჯზედ დავრჩი... განა ესეთი სიცოცხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლე სიცოცხლეა? იმედებმა მიმტუუვნეს, მეგობრებში შევსცდი, სატრფომ პირი მომარიდა—სიცოცხლე ტანჯვად გადამქცევია!..

ვითხოვ ლრუბლებს, წვიმას მოველი —ერთიც და მეორეც მეღირსა,—მაგრამ რა გამოვიდა? განა გული ამით დატკბა, განა ჩემს შავს ფიქრებს გაახარებს ეგ მგლოვიარე ბუნების სახე? არა, არა! მე მსურს მზის შუქი, რომ გულს და გონებას ნათელი შუქი მოჰფინოს!

სუსტია კაცი. გაუგებარია მისი სურვილი. ბედში და უბედობაშიაც იგი მხოლოთ ერთს ითხოვს... სინათლეში სიბნელე სწადის, სიბნელეში სინათლე; მაგრამ ბედის წერა ჯიუტია! თუ ერთხელ იღბალმა ზურგი შეგაქცია —გამოეთხოვე მას, არ დაბრუნდება. მეც ასე ვარ. სიცხეა—წვიმა მწადიან, სწვიმს—ღამეს მივეშურები. რა სჯობია უფრო? არც ერთი!

მღვიძამს—სიცხე მკლავს; მძინავს — სიზმრები!..

ლედის პირმშო

სასცენო ხელოვნება

ლიკცია

(გაგრძელება *)

რიტმი საზოგადოთ ყოველ ბუნების მოვლენაში მოიპოვება: ქარის ქროლაში, წვიმაში, წყლის მიმდინარეობაში, სიარულში და სხვა. აი სხვათა შორის ციცერონის აზრი: «Въ подніи капель мы можемъ замѣтить нѣкоторый ритмъ, а въ теченіи стремительнаго потока мы не можемъ» და მართლაც, ყოველისფერ ზომიერს მიმდინარეობაში უთუოთ მოიპოვება რიტმი. ურიტმოდ არაფერს არ ექნებოდა სილაზათე და ჰარმონია—ესე იგი—სიცოცხლეს მოკლებული იქნებოდა.

*) იხილე თეატრი № 27.

ჩვენი სუნთქვა ისევ ის ზომიერი მიმდინარეობაა, ჩვენი ხმა ლაპარაკის დროს თავისებურად ჰყოფს ამ ზომიერს მსვლელობას და ეს განყოფვა, განაწილება ლაპარაკის მიმდინარეობისა არის თვით რიტმი—უკეთ რომ ვსთქვათ, რიტმი არის ჩვენი გულის თქმა, ჩვენი სულის ჰარმონიული ხმა.—აქ სჯობია მოვიყვანოთ გამოჩენილი მემუსიკე, კრიტიკოსის მატიზ ლიუსსის სიტყვები: «Ритмъ состоитъ въ томъ, что сильные и слабые звуки располагаются поперемѣнно такимъ образомъ что, время отъ времени, по происшествіи нѣкоторыхъ правильныхъ или неправильныхъ промежутковъ, какой нибудь звукъ доставляетъ слуху ощущеніе отдыха, остановки, болѣе или менѣе полнаго конца. Звуки наполняющіе промежутки между двумя отдыхами или остановками и составляютъ собственно ритмъ или часть ритмическаго построенія. Но какимъ образомъ получить отдыхъ т. е. очущеніе посредствомъ звуковъ? Ощущеніе такого отдыха, остановки получается если прервать послѣдовательность звуковъ или паузами или звуками болѣе сильными, значительными, чередующимися на извѣстномъ разстояніи»—ეგ სიტ ყვები ნათლად გვეუბნებიან რაც არის რიტმი, ხოლო ჩვენ გვგონია, რომ რიტმსა ბოლო აღარ უნდა ჰქონდეს, როგორც ამბობს ლიუსსი—ყოველს ბოლოს უთუოთ სახეში აქვს ზომიერება და რიტმი კი ზომიერება არ არის, არამედ ზომიერებას თვით შეიცავს. ლაპარაკის დროს კაცი რომელიმე სიტყვას თავისი შინაგანი მოთხოვნილების გამო ან ჩქარა ან ნელა წარმოსთქვამს ხოლმე. ამ გვარი მნიშვნელობითი, ხატებითი გამოთქმა იქნებოდა ინტონაცია, მაგრამ ინტონაცია და რიტმი ერთი როდია. რიტმიც ინტონაციასავით ერთნაირის საშუალობით მოქმედობს, მაგრამ საგანი და დანიშნულება სულ სხვა აქვს. ინტონაცია აძლევს ლაპარაკს აზრს და სიცოცხლეს რიტმი კი ამ აზრს და სიცოცხლეს უფრო აცხოველებს და ჰარმონიას ჰმატებს. რიტმი სწაელით ვერ შეიძინება. ამ შემთხვევაში საჭიროა თვითონ აკტიორის ნიჭი, ბუნებრივი მიგვნა და ზედ-მიწევნა, რომ აქტიორმა თავისი როლი წარმოდგენის დროს და თავისი ლაპარაკი თამაშობის დროს რიტმეულად დაჰყოს. ჩვენ თუ რიტმაზედ ვსთქვით რამე მხოლოთ იმიტომ, რომ გვეჩვენებინა მკითხველისათვის რავდენი დაკვირვება, სიფრთხილე, შრომა და ბუნებრივი ნიჭი უნდა ხელოვნურად როლის კითხვას, ესე იგი, დიკციას—სასცენო დეკლამაციას. აი, ყველა უმთავრესი დიკციის

შესახებ რჩევა და შესწავლის საშვალებანი. თქმა არ უნდა, რომ დიკციაზე კიდევ ბევრი ითქმის და ჩვენგნით მეტის მეტი უმეცრება იქნებოდა გვეფიქრნა, რომ დიკციაზე და სასცენო გამოთქმაზე მეტი აღარაფერი იყვეს სათქმელი და საწერი. ჩვენ გვინდოდა გვეჩვენებინა მხოლოდ ხერიანი დიკციის მნიშვნელობა საზოგადოთ სასცენო ხელოვნებაში და იმავე დროს დაგვესახელებინა ზოგიერთი რჩევა და საშვალებანი დიკციის შესამუშავებლად,—რაოდენაც მივაღწიეთ ჩვენს სურვილს, ეგ მკითხველის საქმეა.—

ყველაფერი რაც აქამდინ ვსთქვით მომეტებულად შეეხებოდა მხოლოთ კითხვის ან დიკციის ტექნიკურ მხარეს, მის გარეგნობას; ეხლა ვნახოთ მეორე მხარე, ესე იგი, დიკციის შინაგნობა, მისი სიცოცხლე.

თუ აკტიორმა ყველა ზემო მოყვანილი რჩევით და საშუალებით მიაღწია ხელოვნურად ხმის ხმარებას—ესე იგი—დახელოვნდა და გაიწურთნა სასცენო გამოთქმაში ეს კიდევ მას ნებას არ აძლევს თავისთავი ნამდვილ დეკლამატორად ჩასთვლის—ეგ დიდი შეცდომა იქნებოდა. აკტიორმა ამით მიაღწია მხოლოთ სწორს კითხვას, დიკციის ტექნიკას; მაგისთანა — აკტიორს შეუძლიან მთელი ხუთი, ექვსი საათი იკითხოს, არც თვითონ დაიღალოს და არც მსმენელები დაღალოს;—მაგრამ ვიმეორებთ მარტო ეგ როდია საკმარისი. საჭიროა ნიჭი დეკლამაციისა, სასცენო ტალანტი.

სასცენო ლაპარაკი სულ სხვა ნაირი ლაპარაკია და დიდათ განირჩევა ჩვენი საყოველდღეო ლაპარაკისაგან. ზოგნი და თითქმის მომეტებული ნაწილი, როგორც აკტიორთა შორის, აგრეთვე საზოგადოებათა, იმ აზრისანი არიან, ვითომ სცენაზედ ისე უნდოდეს ლაპარაკი, როგორც კერძო ცხოვრებაშიო. ჩვენის აზრით ეს შეცდომითი შეხედულობაა და ესეც რომ არ იყოს, აკტიორს მაინც ეჭირვება კითხვის და ლაპარაკის სწავლა,—რადგან ასში ერთი ძლივსლა ახერხებს ხერიან ლაპარაკს. ჩვენი საყოველდღეო ლაპარაკი სასცენო ლაპარაკისაგან დიდათ განირჩევა და აი რატომ: აბა ერთი წაბრძანდით ჩვენს თავად აზნაურთა ყრილობაზე — ან ბანკის სხდომებზე—რას დაინახავთ? წამოდგება რომელიმე, თუ ორატორი არა, მისი მსგავსი მაინც, და დაიწყობს ლაპარაკს. კარგათ დააკვირდით. მისი მიხერა-მოხერა, მისი ხმა, მისი ლაპარაკის კილო, თავის დაჭერა და ბევრი სხვა მაგგვარი სრულიად არა ჰგავს იმ ლაპარაკს, როდესაც იგივე ორატორი შინ ან ქუჩაში გემუსაიფებად. რა მიზეზია? მიზეზი ის არის, რომ საზოგადოების წინაშე ლაპარაკი და ნაცნობების ან მეგობრების წინაშე ერთი და იგივე არ არის. იქნება მიპასუხონ, რომ აკტიორი ტიპებს ადგენს და მაშასადამე ცხოვრების და საზოგადოების სწორი ნიმუშები და სურათები უნდა გვიჩვენოს და არც ლაპარაკში უნდა მოშორდეს სინამდვილესო. კეთილი და პატიოსანი, ჩვენ ხომ ამის მოწინააღმდეგე არა ვართ და არც ვიქნებით, ხოლო ნურც იმას დავივიწყებთ, რომ სცენა მხოლოთ სცენაა და არა თვით ცხოვრება—აკტიორის ხელოვნება არის მიბაძვის, განხორციელების ხელოვნება და არა თვით უტყუარი, ნამდვილი სიცოცხლე, ნამდვილი ბუნება. გარდა ამისა სცენა არის ხელოვნების სადგური, სადაც მის მსახურებს საგნათ დაუდვიათ და ვალად უკისრნიათ გემოვნების გახსნა—სიმშვენიერის აღორძინება—მაშასადამე განუწყვეტელი შრომა და გარჩევა უვარგისისა ვარგისისაგან, მშვენიერისა, უშნოსაგან.—ჩვენს საყოველდღეო ცხოვრებაში კი ლაპარაკი სავსეა სხვა-და-სხვა ელმენტებით, რომელნიც სცენაზედ რომ გადმოტანილი იქმნენ, სულ ერთიანათ გააფუჭებდენ შთაბეჭდილებას და ხელოვნების მნიშვნელობასაც. აკტიორის ლაპარაკი და თამაშობაც იმდენად უნდა იყოს რეალური, ესე იგი, მარტივ—ნამდვილი, რამდენადაც სცენას მოუხდება და ხელოვნებაც ითხოვს.—თუ მხედველობაში ვიქონიებთ, რომ სცენა და ყოველი დრამატიული ნაწარმოები არის ხელოვნება, ჩვენ აშკარად დავრწმუნდებით, რომ სასცენო ლაპარაკს სრულებით სხვა ხასიათი და კილო აქვს, ვიდრე ჩვენ საყოველდღეო ლაპარაკს—აი სხვათა შორის, რას ამბობს გამოჩენილი დრამატურღი ტრალიოსი კოლლი სიბერსი: Сохранить середину между высокопарностью и безцвѣтностью рѣчи, приковать вниманіе слушателей скорѣе нравственной силой, чѣмъ простымъ возвышеніемъ голоса—вотъ самая трудная изъ всѣхъ достижимыхъ актеромъ цѣлей.—და მართლაც, რამდენი ხერხი, მეცადინეობა და ნიჭი ეჭირვება აკტიორს, რომ თავისი ლაპარაკით ყურადღება მიიქციოს და იგივე დროს ეგ ლაპარაკი ხელოვნური, მშვენიერი იყოს.

ლეგუვე ურჩევს აკტიორს: თუ კარგი დიკცია გინდათ, პატარა ყმაწვილებისაგან ისწავლეთო; იმათ ისეთი სწორი, ისეთი მართალი, უტყუარი ინტონაცია აქვთ, რომ ბევრი ნიჭიერი აკტიორი ინატრებდა მათს ხმასაო, არ გაგიგიათ ბავშვების ლაპარაკი რომელიმე ამბავის შესახებ, როდესაც ისინი ათასნაირ ხმის აწევ-დაწევით, სხვა-და-სხვა ინტონაციით, ტემბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რით და გასაოცარის რიტმით გიამბობენ ყველაფერს დაწვრილებითო, მაგრამ აბა ისევ ის ამბავი დასწერეთ და ისე წააკითხვინეთო,—გარწმუნებთ, რომ კითხვას ისე ვერ მოახერხებენ, როგორც ლაპარაკსო.

მგ შეურყეველი ჭეშმარიტებაა. ლაპარაკი და წაკითხულის თქმა დიდად განსხვავდებიან ერთი მეორესაგან და სწორედ დიდი ნიჭი და მეცადინეობა უნდა, რომ როლის კითხვა ნამდვილს ლაპარაკს მიამსგავსოს აკტიორმა.

ვალიკო—ია

ხელოვნური პოეზია

სასოწარკვეთილების წამი.

ახლა სული მიშფოთს მე გამწარებით:
გამეცალეთ, ნურვინ მოშეკარებით!
ვის გინახავს ზღვა მრაბხანეთ მდელვარი,
ელვა-წვიმა-ჭექაშია მშფოთვარი:
მთა-ზვირთები ურთერთს ეხეთქებიან
და ქვეყანას შთანთქმას ემუქრებიან!..
ჩემი გული დელავს გამწარებული:
იგი ზღვაა, ზღვაა აღშფოთებული!..
ახლა გული მიშფოთს მე გამწარებით...
მოშეცალეთ, ნურვინ მოშეკარებით!...

სილოვან.

ჩემი ფოტოსტის პასუხად

დამიდგა ალარ მოქმედებს
ჩემი ქამანჩა სტვირია;
რაც მინდა იმას ვერ ვამბობ,
ვერ გამიდია პირია.
არ ვიცი ვისდა მივანდო
გულის თქმა, სულის ჭირია;
ვისგანაც შველას ველოდი
მან ამირიდა პირია.
ვშრომობ და შრომის ფასადა
საკვედურები ხშირია.
ვის დავაბრალო—არ ვიცი:
გამიორკეცდა ჭირია,
და ამის შემდეგ უბედო
ხან ვმდერობ, ხანაც ვსტირია;
ჩემი თავისა ურგები
სხვისი სახედნი ვირია.

თეატრის მუშა

მოგონება

(თარგმნილი)

და ესლაც, როგორც ადთქმან ქვეყანან,
მოგისწრაფოდი მე აქეთკენა...
მაგრამ... ხად განქრა ან მოხვენება,
ნეტარებაში სულისა ლხენა?!

ხად განქრა გრძნობა ტკბილ-ხიზარძაცან?
ხად განქრა გუნდი გრძნეულ ხიზრების—
ხად განქრა ყველა, რასაც ვხედავდი,
დამვიწყებელი კაცის დარდების?!

სული მიშფოთავს, ვედარ ვიხვენებ!
კითხვები—ბუზივით—მერევიან:
«ნეტავ ესლა იქ-ჩემს ხამშობლოში
«ჩემნი მოძმენი რადან შვრებიან?

«ნუთუ დაიწყეს შრომა კეთილი—
«ნაცვლად ურთი-ერთ შურის, მტრობისა?
«ნუთუ მოიხმო ხულთქმა და წყევლა
«და ადარა ჭეჭირს ჯავრი მმან მმისა?

«ან ისე არის, როგორც წინეთა
«ძმა ძმას დალატობს და მამა შვილსა?
«ხიმრუდე არის ნეტარებაში,
«ხიმართლე მიეკვთ ხატმელად ჯვრისა?!

ივ—ნე ქავთარაძე.

შავი ჭირის მასკა

(მოთხრობა ედგარ პოესი.)

შავი ჭირი დიდი ხანი ასადგურებდა მხარეს. თავის დღეში არ ეოფილიეო ამისთანა საშინელი, თავზარის დამტეხი სიკვდილიანობა. ამ ჭირის წინა მომასწავებელი—სისხლი იეო; საშინელი, ალისფერი სისხლი. ავად-მყოფობა იწყებოდა დიდის ტკივილებით, უეცარი თავ-ბრუს დასხმით და დაბოლოვდებოდა ტანის ყველა ნაჩვრეტებიდამ სისხლის დენით. შემდეგ სიკვდილი-ღა იეო. წითელი ლაქები, რომლებიც ჩნდებოდნენ ტანზედ და უფრო სახეზედ და ხელებზედ ერთბამად ჭრიცხავდენ მსხვერპლს კატობრიობისაგან და უკარგავდნენ მას საზოგადოების თანაგრძნობას და შემწეობას.

დაწყება, კაკვდომა და ბოლო ამ ავად-მყოფობისა არა თხოულობდა ნახევარ საათზედ მეტს. მაგრამ პრინცი პროსპერო ბედნიერი, გამჭრიახი კაცი იეო. როდესაც მის სამფლობელოში სალხი იყლიტებოდა ჭირისაგან, მან მიიწვია ათასამდის მეგობარი, გულადი და მხიარული რაინდნი და კარის ქალნი, და იმათთან ერთად განშორდა ერთი-ერთს თავის გამაგრებულს ციხე-სასახლეში. ეს იეო მშვენიერი უზარ-მაზარი შენობა; ნამდვილი სამეფო, უცხო გემოსი.

მაღალი და სქელი კედელი ჭქონდა მას შემორტყმული. კედელში დანანებული ჭქონდა რკინის კარები. კარებს ეკარა მძიმე ურდული, რომ უბედურებას და სასოწარკვეთილებას თავის დღეში არ ჭქონოდა ციხის შიგნით ალაგი. მრავალი ხორაგი იეო დამზადებული ციხეში და ამ წინ-დახედულობის გამო ციხეში მყოფთ შეეძლოთ ეური არ ეთხოვებინათ ჭირისათვის... პრინცმა არც დრო გასატარებელი სიამოვნებანი დასტოვა უყურადღებოთ. იმას იქ სუმარნიც ჭყვანდნენ, მოძღვარლნიც, მოთამაშენიც, მუსიკის დამკვრელნიც და ღვინოც. ყველა ეს კაი საგნები და უშიშრობა ციხეში იყვნენ; ციხის გარეთ კი იეო—შავი ჭირი.

მეხუთე თუ მეექვსე თვის დამლეკს, როდესაც ჭირი უფრო საშინელს მუსრს ავლებდა მხარეს, პრინცმა პროსპერომ გამოუცხადა თავის მეგობრებს, რომ ის მართავს მასკარადს.

რა სულის და გულის ამაძგერადს სურათს წარმოადგენდა ეს მასკარადი! მე ჯერ აგიწერთ დარბაზებს, რომლებშიაც მოთავსდა მასკარადი... ბევრს სხვა სასახლეებში დარბაზები ისე მწკრივად მიდიოდნენ, რომ მათ კარებებიდგან ერთი თვიდამ მეორემდის დაინახავდა თვალი. აქ კი სულ სხვა ნაირად იეო; და არც საკვირველია: მეტის-მეტი ახირებული გემოხ პატრონი იეო ეპრინცა. დარბაზები ისე არეკ-დარეულები იყვნენ იმის სასახლეში, რომ ერთიდამ მეორეც კი არა სჩანდა! მაზკენიც და მარცხნივ ოთახებს კედლში ჩასხმული იყვნენ მაღალი ფანჯრები, რომელნიც გადიოდნენ კორიდორში. შუშები შეფერებული იყვნენ კედლების ფერთან... ერთი იმათგანი დარბაზი სულ მთლად მორთული იეო შავი საკერდით გამოურიცხველად ჭერისა. ხალებიც შავები ეგო. მაგრამ ფანჯრები კი სულ სხვა ფერიხ იეო. შუშები სულ წითლები, ნამდვილი სისხლის ფერისა უსხდა.

ამ ოქროით შეჭედილს დარბაზში არც ერთში არ იეო არც ლამპა, ირც ხომალი, არც ერთი სანთელი არ მოიპოვებოდა ამ დიდს ოთახში. მაგრამ კორიდორში ოთხელი ფანჯრის პირ და-პირ იეო დადგმული მაშხალები, რომლებიც სინათლის ხელაურებს ისროდნენ ფერად-ფერადიან შუშებში. ამისთანა განათება მეტად ფანტასტიურ ხასიათს აძლევდა. შავად მორთულს დარბაზს წითელს შუშებში გამავალი სინათლე ისეთ შესაზარო შეხედულობას აძლევდა შიგ შემსვლელს, რომ ბევრნი მოცეკვართაგანი სრულებით კერ ბედავდნენ შიგ შესვლას.

ამ ოთახის კედლთან ამართული იეო ბებერთელა შავის ხის კედლის საათი. მისი ქანქარა ერთ-გვარად ქანაობდა, ურუდ და მძიმედ სმაურობდა; და როდესაც წუთის მაჩვენებელი ისარი შემოუვლიდა ხოლმე ციფერბლატს და საათი რეკავდა, მაშინ მაშინის რკინის ფილტვებიდამ გამოისმოდა წმინდა, სქელი და მეტად მუსიკალური ხმა, თუმცა კი ისეთი საკვირველი და ძლიერი, რომ მუზიკანტები იძულებულნი იყვნენ მოცადნათ რეკვის გათავებისათვის. ამ შემთხვევაში მოცეკვარნი ათავებდნენ ცეკვას და დროებითი შიში გაურბენდა ხოლმე საზოგადოებას. საათის დაკვრის დროს თვით ყველაზედ უდარდელი და მხიარული რაინდნიც კი ფიქრიანდებოდნენ შიშისაგან. რაკი მისწყდებოდა უკანასკნელი ხმა, საზოგადოება ისევ გამხიარულდებოდა ხოლმე, მუზიკანტები ღიმილით ეყურებდნენ ერთ-მანეთს, თითქოს ერთ-მანეთს ეუბნებიანო, რომ ეს ყველა ალარ იქმნებაო, მაგრამ სამოცი წამის შემდეგ ისევ ის ალელვება იწყებოდა და ისევ ის სიმკრთალე გაურბენდა ხოლმე გულში მოდსინე საზოგადოებას.

მაგრამ მიუსედავათ ყველა ამისა, იმ დღეს მხიარულება მაინც დიდი იეო. პრინცს მეტად სხვა ნაირი გემოვნება ჭქონდა. ის მეტად ხელოვნურად არჩევდა ფერს და ეზიზღებოდა მოდა. იმის გემოვნებაში რაღაც კეთილობა და გარეულობა იეო. ბევრნი მას გიჟათაც სთვლიდნენ, მაგრამ კარის კაცებმა კარგათ იცოდნენ, რომ ეს ტეუილი იეო. საკმარისი იეო მისი ლაპარაკისთვის

ურო დაგეგდო და ახლოს გესახა ბრინცი, რომ დარწმუნებულიყავ, რომ ის ჯერ ჯვუაზედ შემცდარი არ იყო.

ლხინის გამართვის გამო ბრინცმა თვითონ მიიღო მონაწილეობა დარბაზების მოართვაში და თავის საკუთარს გემოზედ მოართო. კედლებზედ მოჩანდნენ საკვირველი უხიერი ფიგურები, რომლებშიაც ხანდის-ხან ისეთი საშინელნი და საძაგელნი ერიენენ, რომ კაცს ეგონებოდა საშინელს სიზმარს კაცი ცხადათა ხედავსო...

მასკარადი გაჩაღებულიყო... მაგრამ აი ხანდისხან შავი დარბაზიდამ გამოისმის შავი საათის ცემა.—ერთს წამს სულ ყველაფერი დგება, ჩუმდება, გარდა საათის ცემისა.

ჭაზარი იყინება თავში და ეუცდება. მაგრამ ჭქრება ცემის გამოხმობა და ხელ-ახლად იწყობა მხიარულება, ხელ-ახლად ეკრავს მუზიკა და ფერადიან შუშებში განადენი სხივებით გახათებულნი მოტეკვარულნი ხელ-ახლად ტრიალობენ დიდ დარბაზებში. ალმოსავლეთის დარბაზში კი არ სჩანს არც ერთი მასკა, ამიტომ რომ ახლოვდება ღამე და სისხლის-ფერ შუშებში გამავალი სინათლე წითლდება, სიბნელე დარბაზის სამგლოვიარო შესამოსისა სჩანს უფრო საშინლად, შავი საათიც კი თითქოს უფრო მაღლა და დიდებულად სცემს...

ეკლა დანარჩენ დარბაზებში კი ბუზიკით ირევა ხალხი: დულს და გადმოდის სიცოცხლე... მაგრამ აი დადგა შუაღამე და საათმა დაიწყო ცემა... მუზიკა შეჩერდა, მოტეკვართ შესწეიტეს ტეკვა, ეკლა უწინდებურად გაფითრდა. საათს უნდა დაეკრა თორმეტი... ბეკრმა ეზრამ გაუარა მოლხინე საზოგადოებას თავში. ადვილად შეიძლება, რომ სწორედ ამისათვის მიაქციეს ეურადღება ერთს მასკას, რომელსაც აქამომდის ვერავინა ჭქედავდა. მასკას დახვდნენ გაკვირვებით, რომელიც მალე შიშად გარდაიქცა.

რასაკვირველია ეს მასკა არა ჩვეულებრივი უნდა ეოფილიყო, რომ ასეთი თავისუფალი საზოგადოება ასე გაკვირვებინა. ლხინის დროს სრული თავისუფლება იყო აღვიარებული, მაგრამ ეტეობა, ახლა პირი ძალიან გადასულიყო თავისუფლების საზღვარს.

ეკლაზედ უდარდელი კაცის გულშიაც კი არიან ისეთი სიმები, რომლებთან შეხებაც კი არ შეიძლება დაუსჯელად. ეკლაზედ გარეგნილ კაცებისათვისაც კი, რომელნიც სიკვდილ-სიცოცხლეს ეთამაშებიან, მოიძებნებიან ისეთი საგნები, რომლებთანაც ისინი თამაშს ვერ გაბედავენ. მთელი საზოგადოებამ იგრძნო უზრდელობა უცნობის პირისა. ეს იყო მაღალი, გამხდარი არსება, თავიდამ ფეხებამდე გახვეული ჩადრში. პირზედ მიფარებული მასკა მეტად ხელოვნურად წარმოადგენდა დასაშლელად მომზადებულს მიცვალებულის სახეს. იქმნება იქ მეოთე საზოგადოებას მაინც არაფერთ ხაგდო ეს სულელური ხუმრობა, რომ იმ მაცვალ[illegible] ... გამოსატულება შავი ჭირისა.

თეთრი შესამოსი სისხლში იყო გასვრილი, ბრტყელი შუბლი და მთელი სახე სულ წითელ ლაქებში იყო.

როდესაც ბრინცმა ბრძოლესრომ დაინახა ნელად და დიდებულად მიმავალი მასკა, ის ჯერ შეკრთა შიშისაგან და ზიზღისაგან, მაგრამ შემდეგ კი ენთო ჯავრისაგან.

— ვინ არის ეს, შეჭყვირა მან კარის კაცებს წასულის სმით,—ვინ ჭბედავს მოგვაყენოს ჩვენ ასეთი წარმოუდგენელი შეურაცხყოფა; დაიჭირეთ ეგ და მოხადეთ მასკა, რომ ვიცოდეთ, თუ ვის ჩამოვაღრჩობთ ჩვენ განთიადისას.

ეს სცენა ხდებოდა დასავლეთის, ანუ ცის-ფერ ოთახში. ბრინცის სიტყვები გაისმა მაღლა ყველა შვიდ დარბაზში. მუზიკა გაჩუმდა. ბრინცი იდგა ცის-ფერ დარბაზში, გარშემორტყმული გაფითრებული კარის კაცებით. ჯერ ხალხმა თითქოს გაიწია მოჩვენებისაკენ, ის კი მეიმედ და დიდებულად უახლოვდებოდა ბრინცსა. მასკის გიჟურმა გულადობამ საშინლად შეაძრწუნა საზოგადოება და ვერავინ ჭბედავდა დაეჭირა იგი. მასკამ იძულებული გახადა ხალხი მიეცათ მისთვის გზა და ცის-ფერი დარბაზიდამ იგი გადვიდა ალის-ფერში, შემდეგ მწვანეში და მაინც ვერავინ ჭბედავდა მის დაჭერას.

ბრინცი ბრძოლესერო გაჭყვა მას ყველა ეძვს დარბაზში და მაინც ვერავინ გაბედა მისი გაყოლა. ბრინცი უძნეედა ამოღებულს ხანჯალს მიმავალს მოჩვენებას, მაგრამ მოჩვენება, მივიდა თუ არა შავ დარბაზამდის, ერთბაშად შედგა და მოუბრუნდა მდევარს.

გაისმა გულის მომწყვეტი ყვირილი, ბჭყვრიალა ხანჯალი დაეცა შავს ხალზედ და მოკლული ბრინცი ბრძოლესერო გადაიშლართა იქვე.

ხალხი შეკარდა შავ ოთახში და დაიჭირა შავი საათის ჩრდილოში სწორედ და უძრავად მდგარი უცნობი კაცი.

მაგრამ შიშის ზარი დაეცათ ყველას—სუდარის ქვეშ ვერ ნახეს ვერავითარი თვალთსაჩინო საგანი. ყველა მიხვდა რომ ეს იყო შავი ჭირი... და ყველა მოლხინენი დაეცნენ და დაიხოცნენ იმ მდგომარეობაში, რომელშიაც ეცემოდნენ ძირს. უკანასკნელი მოლხინე კაცის სიცოცხლესთან ერთად შესწყდა აგრეთვე სიცოცხლე შავის საათისაც. განჭქრა მაშხალების ალიც. სიბნელემ და შაემა ჭირმა ჩაავლო ყველას და ყველაფერს თავის განუსაზღვრელად მძლავრი ხელი.

ი. რევიშვილი

ხალხური პოეზია

დედა ობლების გამშვები,
კაცის მკვლელს ედარებოდა,—
უბეში უჯდა გველები—
ძუძუებს ეტანებოდა.
პატარა ვიყავ ობოლი,
გამოკვეევ ქარავანსაო,—
ხელში მეჭირა სადგისი,
ვასხამდი ქალამანსაო.
გული სევდით მაქვს სავსეი,
შიგ დასცურამენ ბატები,—
თუ არ გინდივარ, ძმობილო,
წავალ სხვას შევემატები!.
ამდენი კომლი კაცი ვართ,
ამ საოხრო ვარიანსა,—
საქმე ცუდათ გაგვიხადეს,
ახლა ვეძებთ გალიასა...

მე არავარ იმ კილოსა,
ლურჯამ გამაკინკილოსა!

(შეკრებილი სოსიკოსაგან იმერეთში)

თეატრი და მუსიკა

როგორ არ უნდა ენდოს კაცი ბეჭდვით სიტყვას საზოგადოთ, რა კი რომელიმე გაზეთი ჭეშმარიტებას საზოგადოთ რამე ცნობას და ან იმ გვარ შენიშვნას, როგორიც იყო ამას წინეთ დაბეჭდილი «Кавказъ»-ში ცნობა, შესახებ პატივცემული არტისტის ანდრეევ — ბურლაკის სიკვდილისა—სჩანს იგი რომელიმე ფაკტზედ ამყარებს მას და მაშასადამე მკითხველ- თაც სრული უფლება აქვთ დაიჯერონ.

ამას წინეთ ჩვენც გადმოებეჭდეთ ანდრეევ—ბურლაკ სისიკვდილის ამბავი, რომელიც სრულიად უსაფუძვლო გამოდგა. დიდის სიამოვნებით ვაუწყებთ ჩვენ მკითხველებს, რომ ანდრეევ—ბურლაკი, არამც თუ არ მომკვდარა, თურმე ავათაც არ არის და ამ ყამად ბათუმში წარმოდგენებს მართავს.



ჩვენ შევიტყეთ, რომ განსვენებულის ა. ნ. ოსტროვსკის ქალაღდებში უპოვნიათ სრულიად დათავებული პიესა: **სხვისი გული—დაბურული ტყეაო.** ეს პიესა თურმე შემოდგომაზე დაიბეჭდება კიდეც.



როგორც რუსეთის გაზეთები ამბობენ, რუსულ ნაწარმოებთა მოყვარე, საზოგადობა ატუობინებს მათ, რომ 1 იულისიდან 1 იულისამდე ამ წლისა საზოგადოების ხაზინადარს მისული ა ნ. ვ. გოგოლის ძეგლის ასაშენებლად 326 მ. 24 კ. და სულ წინათ შეკრებილითვე 13,700 მ. 19 კ.



ამას წინეთ კომერციულ ბალში ფრიად უწესო მოქმედება ჩაუდენიათ რამდენიმე აკტიორთ: «თეატრალური მიროკის» კორრესპონდენტი ბ-ნი რ. ჩაუგდიათ და უცემიათ. ეს კორრესპონდენტი თურმე მეტად პატიოსნად ეკიდებოდა თვის მიერ ამორჩეულს მოვალეობას და სწორეთ, ამისთვის მიუყენებიათ შეურაცხყოფა: აკტიორთ ბ-ნი რ. რეცენზია როგორღაც ჭკვაში არ დასჯდომოდათ და გადაწყვეტილთ მაგიერის გადახდა. საზოგადოთ ყველა და ნამეტანად სტუდენტობა მეტად აღელვებულნი არიან აკტიორო ამ გვარის ქცევით. თითონ რ. თურმე ერთი საუკეთესო სტუდენტია იურიდიკულს ფაკულტეშში. ინტრეპრენიორებს მუქთათ კონტრომარკასაც ვი არ ართმევდა, რომ მისგან არათერით დავალებული არ ყოფილიყო და თავისუფლად შესძლებოდა სჯა.

«კერდის» თეატრში პადუას ერთი შესანიშნავი ამბავი მოხდა, რომელმაც უცბათ ერთ არტისტს სახელი შესძინა. თუ ეს შემთხვევა არა ყოფილიყო ეს არტისტი თავის სიცოცხლეში სახელს ვერ მოიხვეჭდა. ოპერა „ერმიტაჟის» წარმოდგენის დროს ბარიტონი გამბერინი, რომელიც კარლოსს თამაშობდა, იმისთანა მთვრალი გამოვიდა სცენაზე, რომ ფეხზე ძლივს იდგა. ხალხს, რასაკვირველია, ეს არ მოეწონა და მეტი ხანიც არ გასულა, რომ პარტერში ხმა გაისმა: მთვრალია! გადი სცენიდამ, დამკარგე! მოგვაშორეთ მთვრალი! იმშრესარიოს და კაპელმეისტერს არ იცოდნენ რა ექნათ. ამდროს ერთი ახალგაზდა ხორისტი გვარად კეტერაცი მივიდა მათთან და უთხრა: მეფის როლს მე ავასრულებო და რადენიმე წამში კიდეც მოამზადა. ხალხს შეატყობინეს ოპერა გაგრძელდება ახალი არ-

ტისტის მონაწილეობითაო. კეტერეტოს სცენაზე გამოსვლა სალხმა თანაგრძობით მიიღო, მაგრამ ეს თანაგრძნობა აღტაცებით შეიცვალა, როდესაც აღმოჩნდა, რომ ამ ჭაბუკს ხორისტს მართლა და ჩინებული ხმა ქონდა. კეტერეტოს წარმატება თან-და-თან იზრდებოდა და იმ ადგილას, სადაც ხემწიფეს ნაპატიები, შეთქმულები უმღერიან: დიდება და პატივი კარლ მეხუთესო, სალხმაც მათთან ერთად დაიწყო მაღალის ხმით მღერა; დიდება და პატივი არტისტს კეტერეტოსო. ამ გვარად რთის სალამოს დაიბადა ახალი ბარიტონი, რომელიც პადუაში ესლაც დიდი პატივცემული და ცნობილია.

კერდი თავის ახალს ოპერას სახელად «იაგო» პარიეს აძლევს და არა მიდანს. ამ გვარ მის გადაწყვეტილებას ერთს წერილში, იტალიიდამ იმით ხსნიან, რომ მიდანში ესლა საშინელი ბალეტომანია სუფევს, და რიგოლდს კერდის ნაწარმოების გამოცემელს, სწორეთ მაგისი შეეშინდაო. იტალიის გაზეთები, რომელთაც ეს ახალი ოპერა «რიგოლეტოს» დამწერისა მეტის-მეტად მოსწონთ, გვატყობინებენ, რომ კერდიმ საზოგადოთ გადაწყვიტა, ეს ოპერა არც ერთს სცენას არ მისცეს, თუნდაც გულითად მეგობრებმა ამაზედ ძალაც დაატანონ. ამბობენ კითომც კერდის ეს ოპერა სრულიად დთავებული ეჩვენებინოს და პირდაპირ ეთქვა, რო ამის წარმოდგენის ნებას არავის არ მისცემს. რო უკითხავთ—მაშ რისთვის დასწერეთო—პასუხად მიუცია—საგუთრად ჩემს სასიამოვნოთაო.

არითმეტიკული გამოცანები

ერთი უმაწვილი კაცი შლიაპის სასყიდლათ მაღაზიაში შეკიდა. კაჭარმა თუმნიანი შლიაპა უჩვენა. უმაწვილი დათანხმდა ამ ფასზე და 25 მანეთიანი მისცა, მაგრამ, რადგან კაჭარს წვრილი ფული არ ჭქონდა, რომ დაუხურდაებინა 25 მ. ამიტომ მეზობელს კაჭარს 25 მანათიანი დასახურდავებლათ გაუგზავნა. მეზობელმა სულ 5 მანათიანები გამოუგზავნა. კაჭარმა უმაწვილ კაცს შლიაპა მისცა და 15 მანეთიც ხურდა დაუბრუნა. უმაწვილ კაცმა გამოართო 15 მ. დაიხურა ახალი შლიაპა და გასწია შინისკენ. რამდენიმე საათიანს შემდეგ მეზობელი კაჭარი უკან უბრუნებს ქუდის გამყიდავს 25 მანეთიანს დაუთვლის, რომ ეგ შენი 25 მანეთიანი ყალბი გამოდგა და ესლავე გამოგიგზავნე ჩემი ფულები, თორემ გიჩივლებო. კაჭარს რა თქმა უნდა შეეშინდა და მაშინათვე 25 მ. გაუგზავნა და ყალბი 25 მანეთიანი თვითონ დაინარჩუნა. კითხვა: რამდენი წაგო ქუდის გამყიდველმა?

ორს უმაწვილს სამოცი კვერცხი ჰქონდათ. ორივემ გადაწყვიტეს სუთი კვერცხი ორი კაპეიკად გაუყიდნათ და სულ აეღოთ 24 კაპ. რადგან 60 შეიცავს 5 თორმეტჯერ და ორი განმრავლებული 12-ზე შადგენს 24.—

30 კვერცხი ერთმა წაიღო და 30 მეორემ, ხოლო ასეთი პირობა დასდეს პირველს სამი კვერცხი კაპეიკად გაეყიდნა და მეორეს ორი კვერცხი კაპეიკად. რადესაც ამ პირობის და გვარად გაჰყიდეს თავიანთი კვერცხები, აღმოჩნდა რომ ორივეს გაყიდვისაგან ერთად აეღოთ სულ 25 კაპეიკი.. კითხვა: როგორ მოხდა, რომ კაპეიკი მეტია?

გამოცანა—ფოკუსი.

მარცხენა ხელში დაიჭირედ ჯამი, მარჯვენაში ჩარექით ღვინო, დასხსნით და დალიეთ. ამ სმის დროს ნურც კარში იქმნებით და ნურც სახლში არამედ სუფევედეთ კარებში, ამასთანავე—ნურც იჯდებით, ნურც იდგებით, ნურც იწვებით, ნურც ირბენთ, ნურც იხტუნებთ, ნურც იცლით, ნურც ითამაშებთ, ნურც ჩამოკიდებული იქნებით და ნურც სადმე მიეუდებული, ერთის სიტყვით, ნუ შანძრევთ ნურაფერს, გარდა იმისა, რომ რადესაც დასხსამთ ღვინოს დასალევათ მარცხენა ხელი მიიტანეთ პირთან.—

სიტყვების გამოცანები.

თანდებულიდგან და საჭმელის სახელიდგან შეადგინეთ ისეთი სიტყვა, რომელიც კაცის სიცოცხლის ბოლოს არის საჭირო.

ეს ორი გამოცანა მივიღეთ მთიგო ს—რ—ლი—გან

ახსნა არითმეტიკული გამოცანისა *)

თუ წუვილი ქათმის კვერცხი ღირს 1 კაპ. იხვისა თვითო 2 კაპ. და ბატის—3 კაპ. მაშასადამე 40 კაპეიკად იყიდდა: 30 ქათმის კვერცხს—15 კაპ.
5 ბატის—15 კაპ.
და 5 იხვისა — 10 კაპ.

სულ 40 კვერცხი — 40 კაპ.

ამ გამოცანის ახსნა მივიღეთ: ივლიანე ქავთარაისაგან, რ. მირზაანელგისაან და მიხეილ ფერაძესა-

*) იხილე «თეატრი» № 28

ეროვნული ბიბლიოთეკა

გან, ამათ გარდა თავადი დ. თარხნიშვილმა გამოგვიგზავნა მეორე ახსნაც:

28 ქათმისა — 14 კაპ.
10 იხვისა — 20 კაპ.
და 2 ბატისა — 6

სულ 40 კვერცხი — 40 კაპ.

კვირიდან კვირამდე

რამდენათ მართალია უკვდავი გოგოლი თავის უკვდავეგე კომედია «რევიზორში» მაგას ის გვიმტკიცებს, რომ აგერ ნახევარ საუკუნის შემდეგაც, მის კომედიაში გამოყვანილი ტიპები კიდევ სცოცხლობენ და მერე სად? რუსეთის შუაგულში—სარგოვში. რუსული გაზეთები გვატყობინებენ, რომ ამ დღეებში სარგოვში ერთი კურიოზი მოხდაო. კიდევ ქალაქს უმაწვილ კაცი, იქაურ ადმინისტრაციას «რევიზორად» მიუღიაო და ბევრი «უწესობის აღმოჩენის» შემდეგ მკაცრი რევიზორი დაუქრთამავთო. რამდენიმე დღის შემდეგ აღმოჩენილა, რომ კი რევიზორი—ხლესტაკოვი თვითონ ადმინისტრაციის შიშს დაუბადავს—ეტყობა რომ სული და გული მღვრიეგე ჰქონიათ. ესეთ მაგალითებს თუ სარგოვში ნიადაგი აქვს, ნეტა რა უნდა იყოს უფრო გადაკარგულს ადგილებში: куда макарь телятъ не гонитъ??..

მკითხველებს ეტყობინებათ, რომ თბილისში აგერ შვიდი წელიწადია რაც ახალის თეატრის შენობას შეუდგა მთავრობა, მაგრამ, როგორც ყოველი «მთავრული» შენობა, ძალიერ ნელა მიეთოთრავს—ამ დღეებში კი ჩვენ შემთხვევა გვქონდა დაგვეთვალიერებინა ახალი თეატრი. თეატრი მეტის-მეტად დიდია და არა გვგონია რომ თბილისის მაყურებლებმა ავმსოს იგი. მუშობას სიცოცხლე ეტყობა; როგორც შევიტყეთ ზამთრისათვის კიდევ დასრულებენო... კარგია, თუ კიდევ ორიოდე ზამთრის შემდეგაც მოვესწრობით თეატრს.

ამასთან ესეც უნდა ვსთქვათ რომ ჩვენ ბანკის თეატრი (არწრუნისეული) ისე უპატრონოდ არის, რომ მალე გვონებთ კედელი ჩამოიქცეს. სასურველი იქნება, რომ გისაც ჯერ არს ეურადღება მიაქციონ ამ გარემოებას, რადგან მომავლის სეზონიდამ ქართული, სომხური და რუსული წარმოდგენები უთუოთ გაიმართება და ამ სახით რა სახითაც დღეს ჩვენი თეატრი არის, არ გვგონია, რომ საშიშო არ იყოს იქ წარმოდგენების გამართვა.

ბორჯომში 11 იულის საშინელი უბედურება მომხდარა: მეხუთე კლასის მოწაფე პირველი კლასიკური გიმნაზიისა—გურიჩი ბანაობის დროს ჭაუზში დამხრჩვალა. მისი ამხანაგი ასლანოვი თუმცა ბევრსა სცდილა მაგრამ წყლიდგან ვერ გამოუსნია. ბოლოს წყლიდამაც გამოუტანიათ, ყოველივე ღონის ძიებაც უხმარიათ ჭქიმებს მაგრამ ამაოთ: სიცოცხლე მაინც ვერ დაუბრუნებიათ სატოდაკის ბავშვისათვის.

დაიბეჭდა და ისყიდება ვ. უმიგაშვილისაგან გამოცემული წიგნი «დასტურლამალი». დასტურლამალი შედგენილია ჩვენის გამოჩენილის მეფის ვახტანგ მე VI. მიერ. ამ წიგნში მოთავსებულია ძველი მეფეთა სახელმწიფო წესები. წიგნი მეტად საინტერესოა მეტადრე ძველ მწერლობის მოყვარეთათვის. თვითო ეგზემპლარი დასტურლამალისა ღირს 1 მ. 25 კაპ. როგორც თბილისის წიგნების მაღაზიებში, აგრეთვე ქუთაისშიაც ისყიდება წიგნი ზემომოყვანილი ფასად.—

სცენები ჩვენის ხალხის ცხოვრებიდან.

I

(თბილისში, რკინის გზის ვაკზალში შაჰხვდება ორი გლეხი ერთმანერთს და დაიწყებენ ლაპარაკს.)

— ოჰ, ტეტიავ! სადა ყოფილხარ, ბიჭო?

— სადა—და—ჯანდაბას!..

— აბაი, აბაი!.. მაინც?..

— სად ვიქნებოდი, კაცო... აი ე მარილის ქვა ვიყიდე და მოვდიოდი ჩემთვის... შავხედე, «დაუსტვინე» მოდის...

— დაუსტვინე ვილა არი?.

—ვინ კი არა, დროგია, ბიჭო, როგორც აგერ ა ისა... (უთითებს ვაგონზე) თითო შაურათ არის შიგ ჩასაჯდომი ფასი... მოდის ე «დაუსტვინე» და მოაწკარუნნბს ზარსა. დაუძახე: მომიცადე მეთქი!.. შენც არ მამიკვდე, ყურიც არ შაიბერტყა!... შიგ კი, მაგდენი არა ვინ იჯდა... გავქანდი და ზედ შევახტი ამ

ქვიანათ... გადმოგდება დამიპირეს, მაგრამ. შენც არ მომიკვდე, ტეტია იმათ ვერ შააშინეს!.. შაუტივე: «კაკოი—ტაკოი ზაკონ»—მეთქი?!.. ჩემი ფული კი—ფული არ არის მეთქი?.. მივეცი ერთი შაური, იმანაც პატარა ფარატინი მომცა, ზედ ვირის ნალი იყო გამოსახული, —და ბატონ-კაცურათ გამოვიჭიმე!.. ერთს ასეთ ლამაზ ქალბატონს კი ამოუჯექ გვერდით, რომ შენი მოწონებული!.. მაგრამ ი ოჯახშენებული სულ განზე მიიწევდა მწყერივით... ჩემი ტყაპუჭისა თუ ერიდებოდა... მოვდიოდით წკარაწკურით და სტვენით: რიგი გადადიოდა და რიგი შამოდიოდა.. ჯერ ცარიელი ფიცრები გაიმსო, მე ისევ ხალვათათ ვიჯექ, მერე ერთი ქალიც მარჯვნივ ამომიჯდა, მერე მეორე. მეც ქალბატონისკენ მივჩოჩდი... ბოლოს ისე გაიმსო ი ტიელი «დაუსტვინე», რომ ერთმანეთს ასხდებოდნენ ბაყაყებივითა!.. როგორც იყო მოვედით აი, დიდი ბაღის თავში. იქიდანაც სამი კაპეიკი მივე — და ახლა აქა ვარ. აი, დაგლახვრა ღმერთმა!—ეგ რაღამ გაფიქრებინა? მაშა, შვილოსა!..

II

(ძწკრივათ ბაყლის დუქნებია: ისმის მაღალი ყვირილით გასასყიდი ხორაგოულობის ქება): პაჰ, პაჰ, პაჰ, პა!.. ბიჭო!.. ერთი შახედე ამ მოთალსა—და!.. ვა, ვა!.. რა არის! . ერბოა, ერბო... არა,—კარაქია!. იფ!... ვახაკ!.. მოთალი, ბიჭო, მოთალი!..

მეორე გაიძაძის:

მოვიდა კიტრი ,მოვიდა!.. მოვიდა შუშა—შუშა! ვახაკ!.. შენი გულისა!.. იფ!-. ჭერამი?.. გარგარი?.. ყაისი, ალიბუხარი?.. ვა!.. მარწყვია, რაღა!.. სუდარინა! კაკოი—და!! ტარხუნა? პიტნა?.. ვიშ, ამ რეჭანსა!.. პა, პა, პა, პა, პა, ჯან!..

თავად. რაფიელ ერისთავი

ვასრთოში

ერთი მეტად შაკ-გვრიმანი ჩინოვნიკი შ—ვი ეტრფიალებოდა ერთის თავადიშვილის კეკლუც მეუღლეს. ერთხელ თავის სათაყვანოს სახლში—ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩამწეროთ თქვენ ჟნიალში და მე რომ ოცი თუმანი მერგება, იქიდან ხუთი მანეთი თქვენთვის გამოჩოტკოთ და დანარჩენი 195 მანეთის ღირსი გამხადოთ თქვენი ნემენტური უფროსობის მოსა.

მიკერტიჩ მადალიანცი

მოთხრობანი

(გამოცნობა)

მოთხრობა ლუკა ულბახისა.

I

მე ხშირათ გამიგია იმ სიოცარ განმარტოებაზედ, რომელსაც თავის ნებით მიეცა ნინო ვ—ს ქვრივი. ზამთარ-ზაფხულობით მოუშორებლივ ცხოვრობდა თავის ციხე-დარბაზში მონმორისის მახლობლათ.

ჰეშმარიტის წყაროებიდან გავიგე, რომ ის ოცი წლის განმავლობაში თავის სახლის კარს არ მოსცილებია. თითქოს მარტოობაში ნინო ხედავდა ხორციელ—სულიერს დამტკბობას და ნეტარებასო. და იმავე დროს ისე აწყობდა თავის სადგომს თითქოს ყოველდღეს სტუმრებს ელისო.

დადგებოდა შემოდგომა და თავის ცივი-სუსხიანი ქარით თან წაიღებდა დამჭკნარს, გაყვითლებულს ფოთლებს; მას მოყვებოდა ზამთარი, ბუნების თეთრის სუდრით შემმოსი; მერე გაზაფხული—ზამთრით დაძრულ ბუნების ძლიეს მფეთქავ ძარღვის გამთმობ—გამცოცხლებელი და გატიტვლებულ ხე-ველის კოვრებ—მწვანით შემმოსი, შემდეგ ზაფხული ამის და-გვარათ დრო-ჟამი ჩქარ მდინარს წყალივით მისდევდა ერთ მეორს, მაგრამ ნინო ჩვეულებრივ არ სცილდებოდა დარბაზს. კითხვა, ქარგვა, ლოცვა და ოცნებანი მხოლოდ მის ერთად ერთს თავ შესაქცევს შეადგენდენ მთელი ოცი წლის განმავლობაში.

ნინო არ იყო არც ღარიბი და არც ავათ-მყოფი. იგი იყო პატივ-ცემული კაცის ქვრივი, იგი არ იშორებდა სამგლოვიარო ტანისამოსს. მისი მწუხარება, თუმცა არავის აკვირვებდა, მაგრამ მისი განმარტოება ბევრს ხმებს, ათას ნაირს დასკვნებს ავრცელებდა ხალხში. ზოგნი ფიქრობდნენ, რომ თავისი ქმრის მოხუცებულობის გამო დაუჩქარა მან ქვეყანიერ ვეს, ქმრის მოწამვლითო.

მაგრამ ეს კი ცხადი იყო, როცა ნინო ქმარს გაყვა, იგი იყო ძლიერ ლამაზი, მხიარული და ოცი წლის განმავლობაში უხვად ფანტავდა თავის სიკეკლუცეს, მაგრამ პატიოსნების შეუბღალავათ. სამოცდა ათის წლის ქმრის გარდაცვალების შემდეგ ორმოცის წლის ქვრივს სრული უფლება ჰქონდა წაჰყოლოდა მეორე ქმარს მაგრამ, არ წაჰყოლია.

წინეთ ნინო ხშირათ მართავდა მშვენიერს ლიტერატურულ საღამოებს და მდიდარს მეჯლიშებს, ხოლო ქმრის სიკვდილის შემდეგ კი მან დაითხოვა არტისტები, მგოსანი, ძვირფასი მზარეული და დაიქირავა მზარეული—დედაკაცი, თავის წინანდელ სტუმრებს გააგებინა, რომ იგი მ ათ არის ადრინდელურად დატკბეს მათ-ს ნაწარმოებით, ხოლო დაბეჭდილებით. უკანასკნელი მისი დამოკიდებულება საზოგადოებასთან მხოლოდ ის იყო, რომ შეუკვეთა ერთს გამოჩენილს მხატვარს თავის ქმრის სურათის გადაღება, რომელსაც სალიტერატურო ოთახის, ყვავილებით მორთული, მხარე დაუთმო და მის შემდეგ ყოველ დღე რამოდენიმე საათს სურათის ცქერაში ატარებდა.

იქნება მას მტკიცეთ უყვარდა თავის ქმარი, რომ ყველა მისი თაყვანის-მცემელი ახალ-გაზდობა ეზიზღებოდა? ანუ მას ეშინოდა—არ ეძლია წუთსოფლის ნდომას და შებღალულც იყო მისი უმანკოებით სავსე სათნოება? აი, ამნაირი ორ-აზროვანი ჰკითხვები ებადებოდნენ ზოგიერთთა! ყველასთვის გაუგებარი იყო, თუ რა ნაირათ შესძლო ჰკვიან და სიმშვენიერით სავსე ქალმა—თავის ნებით ხანგრძლივი განმარტოება, მეტადრე მაშინ, როდესაც ამის მიზეზი სრულიად არ ჰქონდა.

II

ერთმა სწავლულთაგანმა, რომელიც ფიზიოლოგიის ცოდნით ავსებდა პსიხოლოგიას თავის უმეცრებით, იმდენი-რამ მიამბო ვ-ს ქვრივის შესახებ, რომ მე მაშინათვე გარდავწყვეტე, რაც უნდა მომხდარიყო—შემეტყო სრული ჰეშმარიტება ნინოზედ.—საჭიროდ არ ვრაცხ, აღვიწეროთ თუ რა გზით მოვახერხე ნინოს დარბაზში შესვლა.

ჩვენ დიდი ხანია ვიცნობდით ერთმანეთს. ერთხელ სჯა გვჰქონდა «სიყვარულის ძლიერებაზედ». მე ეუმტკიცებდი ნინოს, რომ ბოლოს მაინც თანაგრძნობას ორივე მხარე აღმოაჩენს მეთქი. ნინოს ღიმი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლით პასუხს მიგებდა. დარწმუნებით, მაინც ვერ დავარწმუნე და მერე არ დავბრუნებივართ ამ საგანს. მაგრამ ნინომ თვითონვე მოიგონა ეგ საგანი როცა გაიგო ჩემი მოსვლა და მიმილო კიდეც. მე გამაკვირვა მისმა სიყმაწვილემ, რომელიც მის 40-ს წლის სახეს შერჩენოდა, მის თვალებს ადრინდელი სიტურფე მაინც არ დაჰკარგოდა.

ერთი გამოჩენილი განათლებული ქალებთაგანი, რომელსაც ბევრი რომანტიული თავგადასავალი შემთხვევია თავის სიცოცხლეში, ამბობდა — რომ ვ-ს ქერიეი მომნანებელ ვესტალკასა ჰგავსო. ჩემია აზრით კი ნინო, უფროჰგავდა წმინდა ანგელოზს, როგორც წინეთ ესთქვით თვითონ ნინო დაუბრუნდა ჩვენს ადრინდელს საბაასო საგანს მითხრა ყოველივე თვის საიდუმლოება და გამაკვირვა თვისის გულ-წრფელობით.

აი რა მითხრა ნინოძ:

— თქვენ კარგათ იცით, რომ ჯერ კიდევ ოცის წლისა არც კი ვიყავ როდესაც გავთხოვდი. მე ვიყავი ობოლი, მამა არ მახსოვდა, ნახევარის წლის ვიყავ, როცა მამა გარდაიცვალა. დედაც ორის წლის შემდეგ გარდაიცვალა

მე არ მყავდა ისეთი ნათესავები, რომელთაც შესძლებოდათ ჩემი შენახვა და აღზრდა. ბ-ნი ვ-მა, რომელსაც ცოლათ ყავდა დედი ჩემის შორეული ნათესავი, წამიყვანა თავის სახლში და, როგორც შვილს, ისე გზრდიდა. როცა კითხვა დავიწყე, ერთს მონასტერს მიმბარეს. თქვენ კარგათ იცით რა მდიდარი და კეთილ გულის პატრონი იყო, მაგრამ ბ—ნი ვ—ი, ვერ წარმოიდგენთ, რანაირ თავისუფლებას მაძლევდა. როცა ვ—ი დაქერიდა, მას არ დარჩენია შვილები და მთელი თავის სიცოცხლე მე შემომწირა. მე ვიყავი მისთვის ყოველისფერი: მისი საგანი, მისი სიამაყე, ბედნიერება. განა შემეძლო ის არ მყვარებოდა? არ ვიცი, როდის შემიყვარდა? არ ვიცი, ჰქონდა თუ არა დასაწყისი ჩემს სიყვარულს? ხოლო ჩვენ ერთმანეთს სიყვარულს სიყვარულითვე ვუხდიდით. მის ჭალარას მე ყურადღებას არ ვაქცევდი; ხშირათ მოხდება, რომ ახალ-გაზდა ქალი პირველათ მოხუცს შეიყვარებს ხოლმე. მე ვ—ი პირველად შევიყვარე და მის შემდეგ არც არავინ მყვარებია.

ივლიანე ქავთარაძე

(გაგრძელდება)

ხალხური პოეზია

ლექსები სიმღერები და სხვ.

(გაგონილი და შეკრებილი თ. რ. ერისთავისაგან)

ან-ბანზე.

არა ბრძანებ გიორგ დედა ეხე ვიყავ ზედ
ტეთერ—ად
თმით იკარი კუკ ლალ მოძტემ ნებვენ ოხო ბრო-
კოშ ყვერ—ად
როგორ სამს ტასტ უკეთუ ფეფ ქექ ლორდ ეუუ
შიშ ჩამჩქერ—ად
და ცივიც ძემ წიწ ჭმუჭ სეხ კოკ ჯორჯ ჭაიმისჭ
ჭიერ—ად

(თქმული მეფის ვახტანგის მიერ.)

(გაგონილი გურიაში)

ბული მიწუხს ხახიკვდილოთ, ქინძი მინდა შმარიანი,
შენს ჯავრს როძ არ მოვეკალი, ბიჭო, ვიყავ გვარიანი.

(გურიაში იციან)

(კახეთში)

თეთრი ცხვარი ეველახ მხუქანი ეგონა.

(ანდაზა)

(გაგონილი იმერეთში)

ჭიი რა ვნახე—სამოთხის ხახე, ედემხა კარი შა-
მოუარე,
ათი წყარო სდიხ, ათი მხრიგ მოდიხ, მითი მოიხ-
წყვიხ ეოგვლი არე;
ადმაცნელი სარ, ჩადმა კაკაბი, არ მოგეშალვიხ ნა-
დირთა კვალი; მიმინო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

(გაგონილი მცხეთას)

ბადრის მზემა ამირახ, შენ ბადრს ვერ დაედარები,
ცოცხალი გჯობდა ცოცხალსა, მკვდარსაც ვერ დაედარები.

(იქვე)

ვაჲ ამ ცხენის ოლასა, ვაჲ, ხუ უცხენობასა,
ვაჲ ამ დიაცის ბატრონს, ვაჲ, სულ უდიაცობასა!

(ფშავში გაგონილი)

გიორგი ხახიაშვილო, ოთრათ ქორწილში ნაწვეკო,
რათ მოკალ მამიდაშვილი, შე ხწორში გამოხარჩეკო!

ნარევი

»კითხვა და პასუხები.»

ბ. რედაქტორო!

მსარგებლობ თქვენის დაწესებულებით «კითხვა და პასუხი» და გაძლევთ კითხვას. ეს კითხვა ბევრს ჩემისთანას სხვასაცა სდევნის, მოსვენებას არ აძლევს. ცდითაც, ღმერთია მოწამე, ბევრსა ვსცდილობთ, გვინდა ერთხელ გამოვიკელიოთ და რამ საშუალებაც აღმოვაჩინოთ მის საწინააღმდეგოთ, მაგრამ ჯერ-ჯერობით ნამდვილს დასკვნამდე ვერ მივიხწევია. აი, ბ-ნო რაში მდგომარეობს იგი: საზოგადოთ ჩვენ... გვიჩვიან იგვრგვლივ თაეგამოდებული ყოველ გვარი შრომა, აღებ მიცემა, დაუცხრომელი ცდა ცხოვრების გაუმჯობესობისა არსებობს, თქვენ კი შესცქერით სხვის წინ მსვლელობას და წარმატებასო. ზხალი თაობა ისე მოქანცულად გამოიყურება, რომ მათი მაცქერალი ისევ ძველს თაობას, მის სიმხნევეს და—სხარტობასა გვანატრებსო. უნდა მოგახსენოთ, რომ ზოგიერთს თუ ძლიერ აზვიადებენ, ზოგში სრულიად მართალნი არიან საყვედურის მომცემნი. ჩვენდა არა სასიქადულოდ მეც ვამჩნევ უმეტეს ნაწილს ჩემის თანამოძმეთა და თვით ჩემს თავსაც, რომ ჩვენს სხვებთან... შედარებით, უფრო მოქანცული, უფრო სიმხნევე მოკლებულნი ვართ. ნუ თუ ამ გვარი ჩვენი ქცევა მართლა სიზარმაცისაგან წარმოსდგება? რა დაგვემართა, უმეტესი ნაწილი ასე ზარმაცები როგორ ვართ! არა, ბ-ნო აქ სხვა მიზეზი უნდა იყოს... სიზარმაცეს არა ვითარი კავშირი არა აქვს. ამისათვის მოგმართავთ როგორც თქვენ, ასეც ყველა ჩემს თანა ხელის მომწერელთ ამიხსნათ...

დასასრულ ერთი კითხვაც: რა მიზეზია, რომ ჩვენი სასოფლო ბანკები და დეპოები ასეთი დღე მოკლენი არიან? ნუ თუ აქაც... ჩვენი დაქანცვაა დამნაშავე? დიდის აღტაცებით მივეგებებით ხოლმე ყველა ამ გვარ მშვენიერ დაწესებულებას, სრულის გულით თანაუგრძნობთ, საქმეც იმოდნათ გვესმის, რომ შეგვიძლიან მისი მართვა, მაგრამ მაინც ჩქარა ეღება ბოლო ამ «აღტაცებით» მიღებულს «მშვენიერს» დაწესებულებას, უყურებთ და გვიკვირთ გუშინ არ იყო მის წარმატების სადღეგრძელოს ვსვამდით—დღეს, რა მოსჩვენებიაო! სარკებლობაც რო გვესმის და დაწყებითაც კარგათ ვიწყობთ ასე ჩქარა რა შეგვაკეცავს ხოლმე ფრთეებს?

კოტე ნასიძე

ჭკუის სალარო

— იმ კაცისათვის არ სუფევებს არავითარი ზღუდე, კისაც ნიჭი და შრომის სიყვარული ულვიეს გულში.

(ბეთჰოვენი)

— თუ შენ გიკარგავ სტომაქი, ფილტვები და სელფესი, ამაზედ უდიდეს ბედნიერებას ვერც ერთ გვირგვინოსანთ უძვირფასესი საუნჯე ვერ შეგძენს.

(გორაციი)

— ყოველი მაცხოველებელი აზრი იბადება ცხოველს თავი.

(შილლერი)

— გამოცდილება, როგორც ცხოვრების გეირგეინი, ეველასათვის საჭირო, როგორც კაცისათვის, ისე ქალისათვისაც, მაგრამ ერთი და იგივე მოქმედება კაცებს ღირსებას ჭმატებს ქვეყნის თვალში, ქალებს კი სახელს შტეხს.

(აკაკი)

— სიზარმაცე ისეთის ნელის ნაბიჯით მიდის, რომ სიღარიბე ჩქარა ეწევა ხოლმე.

(ფრანკლინი)

— ხშირად, როცა სული ჭლექდება, ხორცის დღეობა მაშინ არის, როცა სული ჭეუკვის—ხორცი დნება.

(ილია)



«თეატრის» ფოსტა.

ბ-ნს ველისციხელს თქვენი წერილი და მოთხრობა «მწარე ხვედრისანი» მივიღეთ და გმადლობთ კიდეც. ხოლო უნდა მოგახსენოთ, რომ დაუბოლოვებულ მოთხრობების ბეჭდვა არ შეგვიძლიან და აი, რა მიზეზითაც: 1. დაუბოლოვებული მოთხრობათა დაფასება, მის მეტ-ნაკლებობის გაგება არ შეგვიძლიან და არც შეიძლება; 2. თუნდაც მოთხრობა კარგი იყვეს, რა კი ბოლო არ ექნება, ჩვენ ზნეობრივ მოვალენი ვართ მკითხველების წინაშე არ ვბეჭდოთ, რადგან, შესაძლებელია, და ხშირადაც ხდება ხოლმე, რომ მოხრობის ბოლოს ავტორი არ უგზავნის რედაქციას და მაშასადამე ეს უკანასკნელი პირშავად რჩება მკითხველებთან და 3, ზემოხსენებული ორის მიზეზების გამო ჩვენ ვერ გეტყვით დაიბეჭდება თქვენი მოთხრობა თუ არა. რაც შეეხება თქვენს ადრინდელ თარგმანებს, გამოდგნენ და თავის დროზედ დაიბეჭდება კიდეც. სასურველია იქაური ამბების შეტყობა დასასრულ, ხელახლად მადლობას მოგახსენებთ თქვენის თანაგრძნობისათვის და რჩევისათვის.—

ქუთაისში. ბ-ნს ს-ან ხ-ძეს. თქვენი ორი ლექსი და წერილი მივიღეთ. ლექსი თავის დროზე დაბეჭდილი იქნება, ხოლო წერილის პასუხად აი—რას გკადრებთ: საზოგადოთ ყოველი პირობა ურთი ერთს შორის კარგია და საკურველი, თუ კი, რა თქმა უნდა, ორივე მხარენი პირობაზედ დათანხმდებიან. ჩვენ კი თქვენს პირობას, თუმცა «პატივსა ვსცემთ,» მაგრამ ვერ შევიწყნარებთ და აი, რა მიზეზითა: «უცვლელად ბეჭდვა», ვისი «ნაწარმოებიც» უნდა იყვეს, ჩვენ არ შეგვიძლიან და რომ შეგვეძლოს კიდეც, მაინც ვერ ვიკისრეთ, ვერ ვიტვირთებთ იმად, რომ ყოველგვარი შემოვწერილი პირობა, ესე იგი, «უცვლელად ბეჭდვა» ეწინააღმდეგება ჩვენს პრინციპს, თვით რედაქციის ხასიათს, მის მნიშვნელობას, მის ავტორიტეტს. ამიტომ, ნუ რას უკაცრავად, თქვენს პირობაზედ უარს ვაცხადებთ, რადგან სადაც ჩვენის აზრით რომელიმე «ნაწარმოები» ცვლილებას თხოულობს, იქ ჩვენ უეჭველად შევცვლით თუნდაც თვით მრისხანე იუპიტერმაც იწყე-იგრგვინოს. ჩვენ ჩვენებურად გვესმის, ჩვენებურად გფიერობთ, ყოველს «ნაწარმოებს» ჩვენებურად ვაფასებთ, ჩვენებურათ ვსჯით, ჩვენებურად ვწერთ და ვზომავთ და თუ ეს ჩვენებური თქვენებურს ან სხვისებურსარ ეთანხმება; მაშინ ან მოგვიტევეთ, ან განგვაცხეთ—ეგ სულ ერთია,—ხოლო არავითარის პირობით რედაქცია თავისთავს არ შეიბოჭავს.

ბ-ნს თეატრის მუშას თქვენი ლექსი: «ჩემი ფოსტის პასუხად» მივიღეთ და ვბეჭდავთ კიდეც. გარწმუნებთ, რომ სრულებით უსაფუძვლოთ გულს იტეხთ:

«ვისგანაც შველას ველოდი,
მან მომარიდა პირია.»

ამ სიტყვების თქმის საბუთი საზოგადოთ ჯერ ჯეროვნით არავისათვის არ მიგვიცია და განსაკუთრებით თქვენთვის და, თუ ზოგიერთი უხეირო ლექსებს არ ვბეჭდავთ, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ვისმესთვის ან «პირი მოგვერიდებინოს» ან შეურაცხყოფა მიგვეყენებინოს. ის გარემოება, რომ დღევანდელი თქვენი ლექსი იბეჭდება, ნათლად უნდა გიმტკიცებდეთ იმას, რომ რიგიან და მარილიან ლექსებს ჩვენ ყოველთვის ადგილს ვაძლევთ ხოლმე, თუნდაც ჩვენ წინააღმდეგაც იყოს მომართული. რაც შეეხება იმას, ეს ლექსი ჩემია, მომწონს, მაშასადამე კარგია და თქვენც მოიწონეთ და უეჭველად დაბეჭდეთო, ეგ ცოტა არ იყოს ბავშობაა და ახირებული ჭირვეულობაც. კიდევ გიმეორებთ ადრინდელ, მეგობრულ რჩევას, ნუ ასცდებით იმ გზას, რომელიც თქვენ აგირჩევიათ, თორემ ბოლოს მართლა აგისრულდებათ თქვენი სიტყვები;

«დამიდგა აღარ მოქმედობს
«ჩემი ქამანჩა სტვირია.»—

ქუთაისში ბ-ნს ქ—რო გ—ანს თქვენი ლექსი მივიღეთ. ის პოეტი, როდია პოეტი, რომელსაც ეხლანდელ დროში წითელი მელანი მუდამ არ ელანდება თვალში და ამის და გვარად ბილიკებს არ პოულობს თავის მუზის სასეირნოთ. მეტს ვერაფეოს გეტყვით, რადგან, თუმცა პოეტი არა ვართ, მაგრამ ამგვარი ლექსი თვალში გვეჭრელება... მიხვდით!...

გორი. ბ-ნს კვალიაშვილს. თქვენი წერილი შესახებ ჩვენის ბანკებისა მივიღეთ და შემდეგ ნომერში დაიბეჭდება, ხოლო უნდა მოგახსენოთ, რომ სანამ წე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიდის ბოდოს არ გამოგგზავნით, მინამ დაბეჭდვა არ შეგვიძლიან! მიზეზი თქვენ კარგად უნდა მოგეხსენებოდეთ: საზოგადოთ დაუბოდოვებელი წერილების ბეჭდვას რედაქცია ვერ იგისრებს; გარდა ამისა ისიც უნდა მოგახსენოთ. რომ სასურველი და ფრიად საჭირო იქნება როგორც ჩვენთვის, აგრეთვე მკითხველებისათვის, რომ ნათლად და მარტივად გამოთქვათ თქვენი აზრი ბანკების შესახებ—ესე იგი—საზოგადოთ თქვენ ბანკების (კრედიტის) წინააღმდეგი ხართ თუ არა? და თუ ხართ რა მიზეზით ხელმძღვანელობენ? ან იქნება მარტო ჩვენი ბანკები არ მოგწონთ—ესე იგი: თი წესდებანი, მათი ნაყოფი და სხვა? ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ ამდენმა ბანკების უდროობაზედ და სხვა მაგ გვარ არა საფუძვლიანმა ბაასობამ მწერლობაში, ტოტა არ იყოს, ყველას თავი მოაბეზრა.

ბათუმი, ბ-ს ა ნ ს ა ნ ა. თქვენი წერილი, მიკიდეთ, ვასრულებთ დაპირებულს. იმედი გვაქვს არ დადვიწყებთ.

რედაქტორ-გამომცემლის მაგივრ ვალერიან გუნია

განცხადებანი

ОТКРЫТА

ПОДПИСКА НА ГРУЗИНСКУЮ НЕДѢЛЬНУЮ ДУХОВНУЮ ГАЗЕТУ

„МЦКЕМСИ“

На 1886 г. ГОДЪ ЧЕТВЕРТЫЙ.

Съ 1-го января 1886 года будетъ выходить два раза въ мѣсяцъ отдѣдьное прибавленіе къ «МЦКЕМСИ» на русскомъ языкѣ подъ названіемъ «ПАСТЫРЬ» на двухъ листахъ печатной бумаги, по программѣ-же и направленію «Мцкемси.» Цѣль изданія сего прибавленія, кромѣ выполненія принятой программы: 1) сообщать содержаніе болѣе интересныхъ статеекъ, помѣщенныхъ въ «Мцкемси,» русскому духовенству и обществу и Р) знакомить русское духовенство и общество съ Грузіею—съ этимъ отдаленнымъ краемъ 2боссіи.

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ: «Мцкемси» съ пересылкою на годъ. 5 руб. — полгода 3 руб.
«Мцкемси» съ отдѣльнымъ прибавленіемъ на русскомъ языкѣ съ
пересылкою на годъ. . . . . 6 „ — полгода. . 4 „
Отдѣльно прибавленіе съ пересылкою на годъ. . . . 3 „ — полгода. 2 „
Подписка принимается исключительно въ редакціи „Мцкемси.“ Гг. иногородные
просятъ адресовать свои требованія такъ: *Въ Квирилы, въ редакцію „Мцкемси.“*

Редакторъ-издатель священникъ **Давидъ Гамбашидзе.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

„თეატრი“

საყოველ კვირაო ლიტერატურული გაზეთი პირველის ივლისიდამ წლის დამლევამდე ღირს 3 მანეთი, სხვა ვადით ხელის მოწერა არ შეიძლება ხელის მოწერა მიიღება რედაქციის კონტორაში არწრუნისეულ ქარვასლაში № 110.

ПОДПИСКА

На 2-е полугодіе 1886 года

НА ЕЖЕДНЕВНУЮ ЛИТЕРАТУРНО-ПОЛИТИЧЕСКУЮ ГАЗЕТУ

„НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ,“

издаваемую ВЪ ТИФЛИСѢ **Продолжается**.

(III ГОДЪ ИЗДАНІЯ).

программа газеты общая всѣмъ литературн-политическимъ ежедневнымъ изданіямъ. съ возможно широкимъ развитіемъ мѣстнаго отдѣла.

подписная цѣна съ достаткою и пересилкою въ Россіи: на годъ 10 рубъ., на полгода 6 руб., на 3 мѣсяца 3 руб. 50 коп. на одинъ мѣсяцъ 1 руб. 50 коп.

Пописка принимается: въ **Тифлисѣ** въ конторѣ при **Редакціи,** въ С-Петербургѣ въ книжномъ магазинѣ **«Новаго Времени.»** Иногородные адресуютъ, свои требованія въ **Тифлисъ,** въ контору редакціи «Новаго Обозрѣнія» Головинскій, № 27.

Редакторъ-издатель **А. В. Степановъ.**

«ივერია»

საპოლიტიკო და საალიტერატურო გაზეთი გამოდის ყოველ დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

წლიური ფასი	10 მ.
ნახევარი წლით	6 მ.
სამის თვით	3 მ. 50 კ.
და ერთის თვით	1 მ. 50 კ.

პირველის ივლისიდამ წლის დამლევამდე გაზეთი «ივერია» ღირს შვიდი მანეთი.
რედაქცია იმყოფება: ახალ ბებუთოვის ქუჩაზედ ზუბალოვის სახლში, № 9.
გარეშე ხელის მოწერთათვის: Тифлисъ Въ редакцію газсты «Иверія».

რედაქტორ—გამომცემელი ი. ჯავჯავაძე.

Типографія Еф. Хеладзе. სტამბა ეფ. ხელაძისა. Дозволено Цензурою Тифлисъ. 1886 г. 19 іюля.